ცნობის ფურცელი

№ 2560 ოთხშაბათი, 21 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2560

გაზეთის ფასი: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ქალაქ ნიცაში, 17 ივლისს, გარდაიცვალა

კნ. ბარბარე სოლომონის ასული ნაკაშიძისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები **ილია, ლევან, ნიკოლოზ, ივანე და ალექსანდრე პეტრეს ძენი ნაკაშიძეები და ძმები კონსტანტინე და გიორგი სოლომონის ძენი ონიკაშვილები.**

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება კალოუბნის ეკლესიაში ოთხშაბათს, 21 ივლისს. პანაშვიდი დაიწყება დილის 11 საათზე. (2—2)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიუევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების

ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი № 679.** (0—142)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. —3 საათამდე.

პ. ა. ზეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.

მძ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.

დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

გ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაკტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274**

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.

ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 18 ივლისს: „სამხრეთისკენ მარცხენა ფრთაზე მდგომმა ჩვენმა მოწინავე ჯარმა, ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც სოფელ სანჩენძისთან მოხდა, ორი პოზიცია ინაცვლა და დიდ მანძილზე უკან, ხაიჩენისკენ, დაიწია. ვინძიაგოუსა და ბილუსისთან, რკინის გზის ლიანდაგის ორსავე მხარეს, მტერი წინ არ წამოსულა. ამ ადგილას იაპონელებმა მხოლოდ ზარბაზნების სროლა ასტეხეს. როგორც სიმუჩენიდან იუწყებიან (ცნობა გამოგზავნილია 18 ივლისს საღამოს 6 საათსა და 43 წუთზე), ამ ადგილას ბრძოლა შეწყვეტილა და ჩვენ ჯარს თავისი პოზიციები შეუნარჩუნებია. მხოლოდ ჯერ ამბავი არ მოსულა იმ ჯარის მოქმედების შესახებ, რომელიც მარჯვენა ფრთაზე იდგა. აღმოსავლეთ რაზმში ამ რაზმის უფროსმა გენერალმა გრაფმა კელლერმა ბრძოლისთვის თვალყურის სადევნელად აარჩია ის ბატარეა, რომელსაც იაპონელები ყველაზე ძლიერად უშენდნენ ყუმბარებს. ნაშუადღევს 3 საათზე გენერალი კელლერი სასიკვდილოდ დაიჭრა და 20 წუთის შემდეგ გარდაიცვალა. საიმაძ-ლიაოიანის მხარეს იაპონელებს, როგორც ეტყობა, დიდძალი ჯარი შეუგროვებიათ. 18 ივლისს ამ მხარეს ბრძოლა მოხდა. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი. ჩვენმა ჯარმა თავისი პოზიციები შეინარჩუნა“.

ბათუმი. ბათუმის ნავთ-სადგურში შემოვიდა ინგლისის გემი „ჰამისტედ“-ი. ამ გემზე აღმოჩნდა 18 მეზღვაური მონგოლთა ჩამომავლობისა. სამნი ამბობენ, ჩინელები ვართო, თუმცა თავზე ნაწნავი არც ერთს არა აქვს და გარეგნობით იაპონელებსა ჰგვანან. ამ საეჭვო კაცებს თვალყურს ადევნებენ.

პოტსდამი. პრინცი ფრიდრიხ ლეოპოლდი მიდის რუსის ჯარში; იგი რუსის ჯარის მთავარ სადგომში იქნება. ხოლო პრინცი კარლ-ანტონ ჰოჰენცოლერნი იაპონიის ჯარში მიდის.

კოპენჰაგენი. დობროვოლნი ფლოტის კრეისერებმა „დონ“-მა და „ურალ“-მა და ორმა ნაღმიანმა გემმა ღამე ფრედერიკსჰაფენთან გაიარეს. ნაღმიანი გემები უკან მობრუნდნენ სკაგენთან და ერეზუნდს წავიდნენ, ხოლო კრეისერებმა წინანდელი გზა განაგრძეს.

ჩიფუ. როგორც პორტ-არტურის მიდამოებიდან გამოქცეული ჩინელები ამბობენ, იაპონიის ჯარს დაუწყია საერთო ბრძოლა პორტ-არტურის ასაღებად. ატეხილა ზარბაზნების საოცარი სროლა. სულ იაპონელებს ჰქონიათ პორტ-არტურთან 400 დიდი ზარბაზანი. ჩინელების სიტყვით, ამ ზარბაზნების განუწყვეტელი სროლაა. ბრძოლა დაუწყიათ 13 ივლისს.

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). იაპონურ გაზეთებში დაბეჭდილია იმ პასუხის თარგმანი, რომელიც პორტ-არტურის რუს-მეციხოვნეთ შეუთვლიათ იაპონელებისთვის, როდესაც ამ უკანასკნელთ დამორჩილება მოუთხოვნიათ. როგორც პასუხიდანა სჩანს, რუსი მეციხოვნენი ჰფიქრობენ, რომ რუსების მიერ ჩაძირულ ტრანსპორტებს „ხიტაჩიმარუ“-სა და „სადომარუ“-ზე დაიღუპა მარშალი ოიამა მთელის თავისის შტაბითა და საალყო არტილერიით. მეციხოვნეთ არა სჯერათ კუროპატკინის დამარცხება.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის დეპეშა, 16 ივლისს: პორტ-არტურში მყოფ ესკადრის უფროსის მოხსენებით, 3 ივლისს ღამე კვანტუნის ნაპირების ახლოს მიდიოდა რუსის ნაღმიანი გემი და შეხვდა გემ „ხიფსანგ“-ს, რომელიც იაპონელთა მიერ დაჭერილ ფუჯოუს ნავთსადგურიდან გამოვიდა. ამ გემზე ფარნები არ იყო ანთებული. ნაღმიანმა გემმა 10-ჯერ გაისროლა ზარბაზანი, მაგრამ „ხიფსანგი“ არ გაჩერდა, თოფებს ისროდა და სცდილობდა გაპარულიყო. ამის გამო ეს გემი ჩაძირეს ნაღმით. გადმოიყვანეს მგზავრები და მეზღვაურნი—6 ინგლისელი, 1 რუსი და 70 ჩინელი; ჩინელთა რიცხვში 12 დაჭრილია; დაჭრილები სავადმყოფოში დააწვინეს, სადაც რამდენიმე კაცი გარდაიცვალა.

სტამბოლი. პორტა გულწრფელად სცდილობს, რომ არ იქნას აღძრული საკითხი სრუტეების შესახებ და მიჰმართა რუსეთს შუამდგომლობით, შემდეგში ისეთს ნურასფერს ჩაიდენთ, რასაც შეუძლია გამოიწვიოს პროტესტი და შეკითხვა იმ სახელმწიფოთაგან, რომელთაც ხელი მოაწერეს სრუტეების შესახებ ხელ-შეკრულებასაო.

შეცდომის გასწორება. ჩიფუდან გამოგზავნილ წუხანდელ დეპეშაში სიტყვები: „იქ ყოველ დღე 22 ათასი სალდათი მიდის“ ასე უნდა გასწორდეს: „იქ ყოველ კვირაში 22 ათასი სალდათი მიდის“.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

◆

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ფრანგულ გაზ. „ეკლერ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰკითხულობს, როგორ მოიქცევა და რას იზამს ეხლა გენ. კუროპატკინიო. აქამდე სულ უკან იხევდა და ბრძოლის ველს ყველგან იაპონელებს უთმობდა. თუ რუსის მთავარ-სარდალს მტერზე იერიშის მიტანა ეწადა, აქამდე უნდა მიეტანა, სანამ იაპონელების სამი არმია შეერთდებოდა; გენ. კუროპატკინს გენ. კუროკის არმიიდან უნდა დაეწყო და სამივე არმია თითო-თითოდ დაემარცხებინა. თუ გენ. კუროპატკინი ეხლავე იერიშს არ მიიტანს და იაპონელებს არ დაეცემა, სანაძლევოსა ვსდებ, რომ ლიაოიანთანაც არ შეებრძოლება მტერსა და იქაურ პოზიციებსაც იმნაირადვე მიატოვებს, როგორც წინანდელი პოზიციები მიატოვა. ასეა თუ ისე, რუსის მთავარ-სარდლის პლანი მალე გამოირკვევა. („რ. ლ.“).

ამ დღეებში გენ. კუროპატკინს ნამესტნიკი ალექსეევი უნახავს. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის ლიაოიანელი კორესპონდენტი სწერს ამის თაობაზე: გენ. კუროპატკინმა მაისის გასულსაც ნახა ნამესტნიკი ალექსეევი და სამხედრო საქმეებზე ეთათბირა. მაშინდელ თათბირს შედეგად გენ. შტაკელბერგის სამხრეთისაკენ გალაშქრება და 2 ივნისს ვაფანგოუსთან ბრძოლა მოჰყვა..... („რ. ლ.“).

გენ. ოკუ და გენ. ნოძუ სამხრეთიდან ხაიჩენისაკენ მოდიან. გენ. კუროკი აღმოსავლეთის მხრიდან ლიაოიანისაკენ მოდის. ზოგი ჰფიქრობს, გენ. კუროკი საცაა ლიაოიანს დაეცემაო. „ნოვოსტი დნია“-ს სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს, სანამ გენ. ოკუ და ნოძუ ხაიჩენს არ დაიჭერენ და ლიაოიანს არ დაუახლოვდებიან, გენ. კუროკი ლიაოიანს არ დაეცემა, თუმცა პირველ არმიის უფროსი განგებ, მოსაჩვენებლად-კი მანამდეც ლიაოიანისა და მუკდენისაკენ რაზმებს გაჰგზავნისო. უნდა სწორე მოგახსენოთ, გენ. კუროკი მეტად მოხერხებულად იქცევა და თავის მოხერხებულის დემონსტრაციებით ბევრჯელ მოატყუა თავისი მოპირდაპირე. როცა გენ. ოკუ და გენ. ნოძუ ლიაოიანს მიუახლოვდებიან, მაშინ-კი გენ. კუროკიც უსათუოდ ლიაოიანისაკენ გაილაშქრებს და რუსის პოზიციებზე იერიშს მიიტანსო.

„რუს“-ს დეპეშით ატყობინებენ სინძინტინიდან (მუკდენიდან 90 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთ-ჩრდილოეთ მხარეს): 14 ივლისი. სწორედ იმ დროს, როცა იაპონელებმა სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ გამოილაშქრეს, გენ. კუროკის პატარა რაზმმა დალინის ქედი დაიჭირა, სინძინტინიდან 70 ვერსის მანძილზე სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. (ეს დალინის ქედი და უღელტეხილი ხაიჩენის გზაზე მდებარე დალინის უღელტეხილი არ გეგონოთ. ამ ორ უღელტეხილს შუა 100 ვერსი იქნება). იაპონელებმა, ალბად, განგებ მოსაჩვენებლად დაიჭირეს ეს დალინის ქედი, ვითომდა მუკდენისა და ტელინს (მუკდენის ჩრდილოეთითაა) შუა რკინის გზაზე დაცემას აპირობდნენ. არა მგონია, იაპონელებმა ამ სიშორეზე გალაშქრება გაბედონ. საშინლადა წვიმს.

როგორც ვიცით, 6 ივლისს, მედგარის ბრძოლის შემდეგ გენ. კუროკიმ ქალ. სიხეიანი დაიჭირა საიმაძი-ლიაოიანის გზაზე. „სტანდარდ“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს: რაკი სიხეიანი დაიჭირეს, ეხლა გენ. კუროკის მარჯვენა ფრთა უფრო თავისუფლად გაილაშქრებს ლიაოიანისა და მუკდენისაკენაო. („რ. ს.“).

„ტაიმს“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: სიხეიანთან ბრძოლის დროს გენ. კუროკიმ თავისი ჯარი უფრო დიდ მანძილზე დააყენა, უფრო გრძლად გაამწკრივა და აკი ამიტომ ნაკლები ზარალიც მოუვიდათ. („რ. ვ.“),

„სენტრალ ნიუს“-ის სააგენტო იუწყება: რუსებს დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს ხუთი დივიზია ჯარი ჰყავდათ. გენ. ოკუმ სამხრეთიდან მიიტანა იერიში რუსის პოზიციებზე; ამავე დროს დაგუშანის არმიამ (მესამე არმიამ) ხაიჩენის გზის ახლო რუსები პოზიციიდან განდევნა და თითონ დაიჭირა ეს პოზიცია. რუსებმა ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს და, ალბად, ხაიჩენსა და ანშანჩან (ხაიჩენს ზემოდაა) შუა დაუხვდებიან იაპონელებს. დაგუშანის არმიამ სიმუჩენისაკენ გაილაშქრა. („რ. ს.“).

ბერლინიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: ნიუჩუანი (ინკოუ) რომ მიატოვეს, რუსებმა რკინის გზის ვოგზალი დაანგრიეს და კანონირი გემი „სივუჩ“-ი ააფეთქესო.

„ბერლინერ ლოკალ ანცაიგერ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტიანძინიდან: იაპონელები პორტ-არტურის შტურმისათვის ემზადებიან; შტურმში 80 ათასი კაცი მიიღებს მონაწილეობას. ბევრი ჰფიქრობს, იაპონელები ამ დღეებში აიღებენ პორტ-არტურსაო, ტიანძინში მყოფი უცხოელი აფიცრები-კი ჰფიქრობენ, ერთს თვეზე ადრე ვერ აიღებენ პორტ-არტურსაო.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ჩიფუდან: პორტ-არტურიდან მოსული ჩინელები ამბობენ, 4 და 5 ივლისს, პორტ-არტურის ციხიდან 6 მილის მანძილზე, აღმოსავლეთით, ლუნვანტანთან გამწვავებული ბრძოლა მოხდა. რუსებს ამ ბრძოლის დროს 400 კაცი დაუჭრესო. („ნ. დ.“).

„ლოკალ ანცაიგერ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: იაპონელებმა მე-6 დივიზია ორის სარეზერვო ბრიგადით, სულ 20 ათასი კაცი, დალნისთან გადაიყვანეს და პორტ-არტურისაკენ გაგზავნეს. რუსებს პორტ-არტურში მხოლოდ ორი, მე-4 და 5 მსროლელთა დივიზია ჰყავთ, იაპონელებს-კი სამი, პირველი, მეექვსე და მეთერთმეტე დივიზია უდგათ პორტ-არტურთან. მეშვიდე დივიზია იაპონელებმა ცინჩოუსთან გადაიყვანეს. ეს დივიზია პორტ-არტურიდან 40 კილომეტრის მანძილზეა და გენ. ოკუს არმიიდან 50—60 კილომეტრის მანძილზე; სადაც უფრო დასჭირდება შველა, იქით წავა. ეხლა იაპონელების მებრძოლი ჯარი სულ სამხედრო მოქმედების ასპარეზზეა მოყვანილი და სხვა და სხვა ადგილას დაყენებული. უნდა ვსთქვათ, რომ მეტად მოხერხებულად, მარჯვედაცაა დაყენებული („ნ. დ.“).

ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ დეილი „ექსპრეს“-ს: ჩიფუდან ამბავი მოვიდა, წარსულ პარასკევს ადმირალი ტოგო 40 სამხედრო გემით პორტ-არტურს დაეცა და ზარბაზანი დაუშინაო.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ: ამას წინად პორტ-არტურს ახლო ადმირალმა ტოგომ თავის გემ „მიკაზა“-ზე უცხოელი კორესპონდენტები მიიღო. ტოგომ უთხრათ კორესპონდენტებს: ეხლა მარტო ნაღმიან გემებსა, იმათ აფიცრებსა და მატროსებს ვამოქმედებო; დიდ სამხედრო გემებს-კი ვუფრთხილდები, დიდის ბრძოლისათვის ვინახავო. ჯერ-ჯერობით რუსის ესკადრაზე იერიშით მხოლოდ ჩვენი ნაღმიანი გემები მიდიან. პორტ-არტურის გარე რეიდზე ყოველ ღამ ნაღმებს ვაწყობთო. რუსის ესკადრა მალე გამოვა პორტ-არტურის ნავთ-სადგურიდან და ჩვენც დავუხვდებითო. („რ. ლ.“).

„რუსკი ლისტოკ“-ის სამხედრო თანამშრომელი სწერს: 10 და 11 ივლისის ბრძოლის შემდეგ იაპონელებმა დაშიცაო და ინკოუ დაიჭირეს; გენ. ზარუბაევისა და გენ. შტაკელბერგის კორპუსებმა ჩრდილოეთისაკენ ხაიჩენისაკენ დაიხიეს. ცხადია, იაპონელებს მდინარე ლიაოს (ლიაოხეს) ნაყოფიერ ველის დაჭერა სწადიანთ. მდ. ლიაოს ველი და არემარე მეტად ნაყოფიერი, მდიდარი და ხშირად დასახლებული მხარეა; აქაურ ხალხს ბევრი საქონელი ჰყავს და დიდი ჭინახული მოჰყავს. ჯარი აქ ყველაფერს ადვილად იშოვის, სურსათსაც და ბინასაც. ამ ველზე ბევრი კარგი გზაა გაყვანილი, ამიტომ ჯარს აქ სიარული და მოძრაობა არ გაუჭირდება. ქალ. ინკოუს (ანუ ახალ ნიუჩუანს) მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. ეს ქალაქი ზღვის პირას მდებარეობს მდ. ლიაოს შესართავთან და მეტად მდიდარი ქალაქიცაა. აქ მუდამ 70 ათასამდე ჩინელი სახლობს, ნავოსნობის დროს ხომ 150 ათასი სულიც შეიყრება ხოლმე. ინკოუს ნავთ-სადგურში მუდამ აუარებელი სავაჭრო გემი და ნავი დგას. ჩინელებს გარდა, აქ ევროპიელებიც ვაჭრობენ. 1901 წელს ინკოუს 70 მილიონ მანეთისა უვაჭრნია. ინკოუს მნიშვნელობა თან-და-თან ძლიერდება. მდ. ლიაოს შესართავში ჯარი მეტად ადვილად გადმოდის. ამ მდინარეს სამი დიდი მდინარე ერთვის: „ხუნხე (მუკდენი ამ მდინარეზე სდგას), ტაიძიხე (ლიაოიანი ამ მდინარეზე სდგას) და ხაიჩენხე (ხაიჩენი დგას). იაპონელები ამას იქით ინკოუს ბაზად გაიხდიან და აქედან შარა გზებითა, თუ ამ მდინარეებით ყველაფერს ადვილად მიაწვდიან თავიანთ ჯარსა. არა თუ ლიაოხე, სხვა ჩამოთვლილი მდინარეებზეც თავისუფლად დადიან ჩინური ნავები, მეტადრე წვიმების პერიოდის დროს. ასე რომ იაპონელებმა ეხლა კიდევ ერთი კარგი ბაზა ჩაიგდეს ხელში და სურსათის შოვნისა და ზიდვის საქმე გაიადვილეს. აქამდე ყველაფერი იაპონიიდან მოსდიოდათ, ამას იქით ჩინეთშიაც დიდძალ სურსათს იშოვნიან.

„ეკო დე პარი“ სწერს: დაშიცაოს აღების შემდეგ. იაპონელებმა მდ. ლიაოს შესართავი ხელში ჩაიგდეს. ამ მხრიდან რუსის ჯარს დიდ-ძალი საკვები სურსათი მოსდიოდა...

„რუსკი ინვალიდ“-ში დაბეჭდილია: ზოგიერთ გაზეთს ცნობა მოუვიდა, ვითომ ტყვე რუსებს იაპონიაში მარტო ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე აძლევენ წერილების დაწერის ნებასაო; ამას გარდა, ფრანგულსა და გერმანულ ენაზე დაწერილი წერილი ტოკიოში უნდა გაუგზავნოს და ასეთ წერილის გამგზავნმა ცენზურისა და ტოკიოში გაგზავნის ხარჯი უნდა გადაიხადოსო. სარწმუნოთ გავიგეთ, რომ ეს ცნობა ტყუილი ყოფილა. ტყვე რუსები იაპონიაში თავისუფლად სწერენ წერილებს რუსულს ენაზე და არავითარ ხარჯს არ იხდიან.

11 ივლისს იაპონიის მთავრობამ ყველა უცხოელი სამხედრო აგენტი გემ „აკიმურა“-თი სიმონოსეკიდან სამხედრო მოქმედების ასპარეზზე გაისტუმრა. კორესპონდენტებიც 12 ივლისს წავიდნენ გემ „გეიჟიმარუ“-თი.

ტოკიოდან ატყობინებენ „სავაჭრო-სატ. სააგენტო“-ს: ამას წინად ხუთმა რუსის ტყვემ კუნძულ მასუიამიდან გაქცევა დააპირა, მაგრამ მალე ზღვის პირას დაიჭირესო. („რ. ვ.“).

„დეილი მეილ“-ი იუწყება: მეწამულ ზღვაში იაპონელების სამი სამხედრო და ორი ნაღმიანა გემი მოსულა. ეს ამბავი საიმედო კაცებმა შეგვატყობინესო.

ჩინური გაზ. „შუნ-ტიან-შიბაო“ იუწყება: ჩინელმა მაღალ-წარჩინებულმა მოხელემ ჩანვ ჩიდუნმა და ხუბეის პროვინციის გუბერნატორმა დუნფანამმა 3 ათასი ლანი შესწირეს იაპონიის წითელ ჯვარს. ამის გამო იაპონიის იმპერატორმა ორივეს ჯილდოდ ორდენები უბოძაო. („ბ. ვ.“).

გენ. მამ მოახსენა ჩინეთის მთავრობას პოგოუსა, სინძიმინსა და სხვა ადგილებში ბატარეები დავდგი საზღვრის გასამაგრებლადა და ნეიტრალიტეტის დასაცველადაო.

„სტანდარდ“-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: ჩინელები დიდს მხნეობას იჩენენ. სამხედრო სამინისტრომ კიდევ მოითხოვა ფული ჯარისათვის. სახელმწიფო საბჭო მეფის მოადგილეებს შეეკითხა, რა აზრისა ხართ ჯარის რეორგანიზაციაზეო. უნდათ, რომ ჩინელ ჯარის კაცებს ნაწნავის ტარება აუკრძალონ და გერმანელ ჯარის ფორმა ჩააცვან. მანჯურიის ჯარის გენერალს უბძანეს, არსენალები დაათვალიერე და ახალი სახსარი აღმოაჩინე იარაღისა და სამხედრო სურსათის საყიდლადაო. („ნ. დ.“).

ინგლისელების გემი „მალაკა“ რუსებმა 15 ივლისს დილით ალჟირში მოიყვანეს. ინგლისისა და რუსეთის კონსულები მაშინვე გემის სანახავად წავიდნენ. ინგლისის კონსულმა ოფიციალურად გამოაცხადა, რაც „მალაკა“-ზე სამხედრო სურსათია, ინგლისის მთავრობის საკუთრებას შეადგენსო. რუსებმა მაშინვე ინგლისელებს გადასცეს გემი.

ალჟირიდან დეპეშა მოსულა ლონდონში: გემ „მალაკა“-ზე რუსეთის ბაირაღი ჩამოუშვეს; რუსის მეზღვაურები მაშინვე წავიდნენ გემიდან და გემზე ინგლისის ბაირაღი გაიშალა. რა-წამს ინგლისელი მატროსები მოვლენ, „მალაკა“ დანიშნულებისამებრ სინგაპურს წავა. („ბ. ვ.“).

„სტანდარდ“-ის კორესპონდენტი იუწყება: დარდანელის სრუტიდან 15 მილის მანძილზე სამხრეთისაკენ ინგლისის გემი დგას სადარაჯოდაო. („რ. ლ.“).

ახალი ამბავი

✦ ამას წინად აზნ. ი. დ. ორჯონიკიძეს, სამსახურს გარეშე მყოფ პოლკოვნიკს თავ. გ. მ. შერვაშიძეს, ნაფიც ვექილს ა. პ. ლებედინსკის, თავ. კ. დ. ერისთავს, ქუთაისის მცხოვრებს ი. კაკაბაძესა და ვაჭარს ს. რუხაძეს შუამდგომლობა აღუძრავთ მთავრობის წინაშე და უთხოვნიათ, ნება მიეცეთ ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ გზებზე მოაწყონ საავტომობილო მიმოსვლა. ეხლა კავკასიის უმაღლესს მთავრობას ნება დაურთავს ორჯონიკიძესა, შერვაშიძესა, ლებედინსკისა და ერისთავისთვის მოაწყონ ავტომობილების მიმოსვლა ორგან: ქუთაისსა და ხონს შუა და ოზურგეთსა და ნატანებს შუა. კაკაბაძესა და რუხაძეს ნება დაერთო მოაწყონ ავტომობილები ქუთაისსა და ხონს შუა.

✦ უკვე ვწერდით, რომ ტფილისის მცხოვრებლებმა მ. რ. ბარსკიმ და ხოლზოვმა განიზრახეს ნიკოლოოზის მოედნიდან ახალ არსენალის ქუჩით კახეთის მოედნამდე და შემდეგ **მახათის გორამდე ცხენის რკინის გზის** გაყვანა. ქალაქის გამგეობამ პრინციპიალურად მოიწონა ეს წინადადება, მაგრამ რადგან გზების გაყვანის დროს უპირატესობა ბელგიის უსახელო საზოგადოებას აქვს, გუშინ გამგეობა შეეკითხა ამ საზოგადოების საქმეების გამგეს, საზოგადოება მოისურვებს თუ არა აღნიშნულ გზის გაყვანასაო.

✦ 19 ივლისს მოხდა სხდომა ტფილისის **სასანიტარო მზრუნველებისა.** ქალაქის საბჭოს კარგა ხანია დაუდგენია, მტვრის საზიდ ტაჩკებისათვის გადასდოს ფული. რამდენიმე წელიწადია ეს დადგენილება მთავრობას წარუდგინა, მაგრამ დამტკიცებით დღევანდლამდე არ დაუმტკიცებია. სასანიტარო მზრუნველთა სხდომამ ამ საღამოთი დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ დაჩქარებულ იქნას იმ პროექტის დამტკიცება, რომელიც საბჭომ წარადგინა. მზრუნველთა სხდომამ დაადგინა აგრეთვე, იმ ძირის სართულებიდან, სადაც სინათლე არ არის, ჰაერი უსუფთაოა, ან სარდაფი ნესტიანია, მცხოვრებლები გამოასახლოს.

✦ **ტფილისის სასანიტარო კომისიის საყურადღებოდ** გვთხოვენ დავბეჭდოთ, რომ დიდი უსუფთაობაა ეგრედ წოდებულ „დროვიანოი პუტში“, სადაც იცლება შეშა, რკინეულობა, ქვა, ქვანახშირი, კირი, შენობის მასალა და მრავალი სხვა. ეს ადგილი მდებარეობს რკინის გზის სადგურის ზემო ნაწილში, შეშის საწყობის გვერდზე. ამ ადგილზე, რომელიც სივრცით ერთი ოთხკუთხი ვერსი იქნება, ჰყრია ოთხის წლის ნაგავი. ყოველ დღე ამ ადგილას, უსუფთაობის მიუხედავად, მუშაობს ასს კაცამდე.

✦ ტფილისის მეორე ნაწილის სასანიტარო მზრუნველმა 14 ივლისს დაათვალიერა გოლოვინის პროსპექტზე ბარონ **კუჩენბახისა, გიორგი ნასარიძისა,** პუშკინის ქუჩაზე შადინოვის მაღაზიები და გრიბოედოვის ქუჩაზე პისკუნის სამრეცხელო. კუჩენბახის მაღაზიის სარდაფში აღმოჩნდა დამპალი და მატლიანი ყველი. უსუფთაოდ აღმოჩნდა აგრეთვე იმნაძის საკონდიტერო, განსაკუთრებით ის ნაწილი, სადაც ამზადებენ რძესა და სხვა სანოვაგეს. შადინოვის მაღაზიის სარდაფი და პისკუნის სამრეცხელოც უსუფთაო აღმოჩნდა. ყველა ამათ ბაბოვმა ოქმი შეუყენა და გადასცა სასანიტარო კომისიას პასუხის გებაში მისაცემად.

✦ ხვალ, 22 ივლისს, გაიმართება სახალხო **კითხვები ხოლერის შესახებ:** რკინის გზის სახელოსნოების თეატრის დარბაზში ქართულად წაიკითხავს ლექციას ექიმი დ. გედევანიშვილი, რუსულად—ექიმი ნ. ხატისოვი; ქართული ლექცია დაიწყება 12 საათზე, რუსული—1-ლზე; „ავჭალის სახალხო აუდიტორიაში“: რუსულად—ექიმი გოლოვკოვი, ქართულად—ექიმი ალ. დიასამიძე; რუსული დაიწყება საღამოს 7 საათზე, ხოლო ქართული—8-ზე.

✦ როგორც ქალაქ მერვიდან (იმიერკასპიის ოლქი) გვატყობინებენ, ადგილობრივ ქართველებს 14 ივლისს ქართულად პანაშვიდი გადუხდიათ სამსონ თოფურიასა და წელს გარდაცვალებულ სხვა **ქართველ მოღვაწეთა** სულის მოსახსენებლად.

✦ როგორც „კავკ.“-ს გაუგია, **ხოხუმში აარსებენ** სასულიერო სასწავლებელს.

✦ **ბაქო.** 19 ივლისს, დილის 4 საათზე, წაეკიდა ცეცხლი რკინის გზის მასალის საწყობს, სადაც აუარებელი მასალა ელაგა. დაიწვა საწყობი და ბევრი სხვა საქონელი და მასალა.

✦ ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის მთავარ-მართებლის წინაშე იმის შესახებ, რომ საერობო თანხიდან გადაიდოს 1900 მან. ტფილისის საგუბერნიო **საპყრობილეს საავადმყოფოს** მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

✦ **წვრილ და მსხვილ-ფეხა საქონელს,** რომელიც რკინის გზით იგზავნება, უსათუოდ ბეითლის მოწმობა უნდა ჰქონდეს. რადგან ყოველთვის ასეთ მოწმობის აღება ძალიან ავიწროვებს საქონლის პატრონთ და გამგზავნელთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ განკარგულება მოახდინა სადგურების უფროსების საყურადღებოდ, რომ დღეის შემდეგ უმოწმობოთ მიიღონ ხოლმე გასაგზავნად წვრილ ფეხა საქონელი—ხბო, ღორი, გოჭი და თხა.

✦ ტფილისის **მიწის მზომელთა სასწავლებელი** წელს დაამთავრა 18 კაცმა. ქართველი ორია: აბაშიძე და ეძგვერაძე.

✦ **საგზაო საქმე** ტფილისის გუბერნიაში აქამდე მინდობილი ჰქონდათ მომრიგებელ შუამავლებს. ეხლა გუბერნატორმა საუმჯობესოდ სცნო, ეს საქმე გადაეცეთ მაზრის უფროსებს, ამიტომ შესაფერი განკარგულება მოახდინა.

✦ ხვალ ბელგიის უსახელო საზოგადოების **ცხენებისა და ვაგონების** დათვალიერებას შეუდგება ტრამვაის მეთვალყურე კომისია. ამ ბოლო დროს ვაგონებს უბამენ მეტად ჩამომხმარ და უძლურ ცხენებს; ამის გამო დღე ისე არ ჩაივლის, რომ რამდენჯერმე მთელი საათობით არ გაჩერდეს ვაგონები.

✦ ხშირად **რკინის გზის ექიმებს** იწვევენ ხოლმე ისეთ ადგილას და ავადმყოფებთან, რომელნიც რკინის გზასა და იმის რაიონს არ ეკუთვნიან. რკინის გზის გამგეობამ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევებში უნდა დაიბარონ ქალაქისა ან მაზრის ექიმები. რკინის გზის ექიმი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მიიწვიონ, თუ მაზრისა ან ქალაქის ექიმი ავად არისო.

✦ დუშეთის მაზრის სოფელ მუხრანში მუცელა გაჩენილა. სამკურნალო გამგეობამ შესაფერი ზომები მიიღო.

✦ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს, შორაპნის მაზრის სოფელ ხარაგაულის ვაჭრების თხოვნის თანახმად, დაუდგენია, ხარაგაულში დაარსებულ იქნას ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე მსწრაფელ მატარებელს № 1-ზე დღემდე ბორჯომამდე ბილეთები არ იყიდებოდა. რკინის გზის მიმოსვლის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ მგზავრებს მიჰყიდონ ბილეთები ბორჯომამდე.

✦ რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები, გამოცემული ს. ჭელიძის მიერ: 1. „სალამური“, სხვა-და-სხვა სასიმღერო ლექსები, შედგენი ს. ჭელიძის მიერ. ფასი 10 კაპ. 2. „ოჰ, მარგალიტავ! და სხვა სასიმღერო ლექსები, შედ. ს. ჭელიძის მიერ. ფ. 10 კ. 3. „ქნარი“, ქართველ და უცხოელ პოეტების რჩეული ლექსები, შედგ. ს. ჭელიძის მიერ ფასი 20 კაპ.

✦ თიანეთის მაზრის სოფ. ჯოკოლაში 4 ივლისს ვიღაც ქურდებს მიწა გაუთხრიათ, შესულან ივანე წიკლაურის დუქანში და მოუპარავთ სხვა-და-სხვა ნივთები.

✦ ამას წინად ახალციხეში პოდპორუჩიკის ჩიკვაიძის სადგომიდან ქურდებს მოუპარავთ 700 მანეთის ნივთები. როგორც ეხლა აღმოჩნდა, ეს ნივთები მოუპარავს დენშჩიკს ივან დუმჩევს. ნივთები იპოვნეს.

✦ ამას წინად გორის მაზრის სოფელ კარალეთში, გზაზე, დათიკო მიხარაშვილი თავს დასცემია ივანე ფურცელაძეს და მძიმედ დაუჭრია სახეში.

✦ ამას წინად იგუეთის (გორ. მაზრა) მცხოვრებთ ნიკო და დიმიტრი ზაალიშვილებსა და კართისის (დუშეთ. მაზრ.) მცხოვრებთ დავით და ქიტო თვაურებს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც პირველთ მეორენი დაუჭრიათ.

რუსეთის ქრონიკა

✦ ირკუტსკიდან (ციმბირი) იუწყებიან, რომ უკვე 5 თვეა, რაც იქ ევროპის რუსეთიდან არაფერი საქონელი არ მიდის. ადგილობრივ ვაჭრებს იანვარში გაგზავნილი საქონელი ჯერაც არ მიუღიათ. ბევრგან რკინის გზის სადგურებზე ჰყრია და ფუჭდება გაჩერებული ტვირთი. მცხოვრებლები გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდნენ. [illegible] და საშინლად გაძვირდა ყველაფერი, ყველაზე მეტად კი ნავთი, შაქარი და ფქვილი. **საინტენდანტო** გამგეობას შეუსყიდნია და გაუგზავნია ომის ასპარეზზე დიდ ძალი სანოვაგე, რის გამო კიდევ უფრო ძლიერ აწეულა ფასები. ხალხი ზოგან უკვე შიმშილობას ითმენს და დამშეულ ადგილებში სურავანდი გაჩენილა.

✦ სამწუხარო ამბებს იწერებიან აგრეთვე იაკუტსკის ოლქიდან, სადაც მცხოვრებლები დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილან იმის გამო, რომ მრავალი ცხენი წაუყვანიათ იმ ადგილებიდან ომის საჭიროებისათვის.

✦ საერობო კრებათა უმრავლესობას ის აზრი გამოუთქვამს, რომ შემცირებულ უნდა იქნას ცენზი მაზრის ხმოსანთა ამომრჩეველთათვის, რადგან დიდი ცენზის გამო, მცხოვრებთა უმრავლესობას უფლება არა აქვს არჩევანში მიიღოს მონაწილეობა. ბოლო დროს ყაზანის მაზრაში მხოლოდ 8 კაცი ყოფილა „მეკენჭე“.

✦ მთავრობის წრეებში შესდგომიან საკითხის განხილვას მოძრავ სახალხო სკოლების გამართვის შესახებ. უკვე შეკითხვით მიუმართავთ ზოგიერთ ერობათა და საერო განათლების ასპარეზზე მოღვაწეთათვის ამ საგანზე მათი აზრის შესატყობად.

✦ სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კრებაზე, რომელიც გაიხსნება პეტერბურგში 7 აგვისტოს, საშუალო და უმაღლეს სკოლების რეფორმის გარდა, განხილულ იქნება აგრეთვე საკითხი სასწავლებელთა ეკონომიურ მდგომარეობის, მასწავლებელთა და უფროსთა დამოკიდებულების, სკოლების შინაგან წყობილებისა და მოწაფეთა ფიზიკურ განვითარების შესახებ.

✦ ფინანსთა მინისტრს პრინციპიალურათ თანხმობა გამოუცხადებია სამარის საგუბერნიო ერობის შუამდგომლობაზე სოფლებში გლეხთათვის ლომბარდების (ნივთების საგირაო) დაარსების შესახებ.

✦ კრასნოვოდსკიდან იუწყებიან, რომ იქ თავი მოუკლავს ფოსტის დამტარებელს, გვარად გლადკოვს. თავის მოკვლის მიზეზი ის ყოფილა, რომ ფოსტის უფროსს უწმა-

წურ სიტყვებით გაულანძღავს გლადკოვი საჯარო ადგილს.

◆ რიგის სასამართლოს გაურჩევია ერთი არა ჩვეულებრივი საქმე სამეცნიერო მიზნით ნივთების ქურდობის შესახებ. ბრალდებულნი გიმნაზიიდან გამოსული ორი ახალგაზდა კაცია, რომელთაც მოუსურვებიათ ქიმიისა და ფიზიკის შესწავლა და სიღარიბის გამო ვერ შეუძენიათ საჭირო მოწყობილობა და მანქანები. შეთანხმებულან და მოუპარავთ სხვა-და-სხვა დროზე იურიევის უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორიიდან 80 მათთვის საჭირო ნივთი. უცნაურ ქურდებს ნდომებიათ, საგნის შესწავლის შემდეგ, ამ ნივთების დაბრუნება. როცა უნივერსიტეტის გამგეობამ ქურდობის ამბავი პოლიციას აცნობა, ახალგაზდა კაცები თავის ნებით გამოცხადებულან და განუცხადებიათ დანაშაული. სასამართლომ გაამართლა ორივე ბრალდებული.

◆ რუსეთის საიმპერატორო სათეატრო საზოგადოებას გაუგზავნია ბლანკები კითხვებით სხვა-და-სხვა ქალაქების თვით მმართველობათა, სათეატრო დასებისა, კერძო ანტრეპრენიორებისა და არტისტების ამხანაგობათათვის. კითხვები შეეხება საზოგადოდ რუსეთში არტისტების ყოფა-ცხოვრებას. მიღებულ ცნობებს საზოგადოება შეიმუშავებს და ცალკე წიგნად გამოსცემს.

◆ ხერკოვში ადგილობრივ მცხოვრების პისმენნის სახლში დინამიტით აფეთქება მოხდარა. მიზეზი ჯერ-ჯერობით ვერ შეუტყვიათ. სახლი დაზიანებულია. მდგმურთაგან არავინ არ დაშავებულა.

◆ ვარშავის მიდამოებში ისეთი სიცხეა თურმე, რომ თევზების მომშენებელთა მიერ გამართულ გუბეებში წყალი ნახევრად ამომშრალა და გამთბარ წყალში მრავალი თევზი დახოცილა.

◆ „ნოვოს.“-ის სიტყვით, ახალ პროექტით აფთიაქების შესახებ გაადვილებულ იქნება აფთიაქების გახსნა სოფლებში და ქარხნების რაიონში. ნებართვის მიცემა დამოკიდებული იქნება ადგილობრივ ადმინისტრაციაზე და სამკურნალო ინსპექციაზე.

შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. პლევეს მოკვლა

გუშინ მიღებულმა მოსკოვის გაზეთებმა მოგვიტანეს დაწვრილებითი ამბები შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ. მკვლელობა, როგორც დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, მოხდა 15 ივლისს, დილის 9 საათსა და 50 წუთზე წინა დღეს, საღამოთი, მინისტრს თავისი მეუღლე და ვაჟი კალუგის გუბერნიაში საკუთარს მამულში გაუსტუმრებია. თითონ მინისტრი ამ დილით სადგურზე მიდიოდა, ხოლო იქიდან ცარსკოე სელოში აპირებდა წასვლას ხელმწიფე იმპერატორისათვის სხვა-და-სხვა მოხსენების წარსადგენად.

მკვლელობა მომხდარა იზმაილოვის პროსპექტისა და ობვოდნი კანალის კუთხეში, იქ, სადაც „ვარშავსკი სასტუმროა“. ზოგი ამბობს, მკვლელი ამ სასტუმროდან გამოვარდაო, ზოგი კიდევ —სასტუმროს კუთხიდანაო. იქვე სასტუმროსთან მჯდარა ერთი დედაკაცი, მზეუმზირის გამყიდავი. დედაკაცს უთქვამს, როდესაც ეტლი სასტუმროს გაუთანასწორდა, დავინახე, სასტუმროდან როგორ გამოვარდა ყმაწვილი კაცი; ხელში ამ კაცს რაღაც ეჭირა, კომბოსტოს მსგავსი; მიჰვარდა მინისტრის კარეტას და ესროლა ის, რაც ხელში ეჭირა; შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, რადგან საშინელი ხმა მომესმა და რაღაც ძალამ წამაქციაო. როდესაც ყუმბარა გასკდარა, ხმა 1½ ვერსზე გაუგონიათ. სასტუმრო ხუთ-სართულიანი ყოფილა და არც ერთი ფანჯარა ამ სასტუმროში მთელი არ გადარჩენილა, მეორე მხარესაც-კი. დალეწილა აგრეთვე სხვა სახლების ფანჯრებიც. ყოველივე ეს თვალის დახამხამებაზე მომხდარა. ეტლი, რომელშიაც მინისტრი იჯდა, ნაფლეთებად ქცეულა. ეტლისა მხოლოდ ღერძი და თვლები და დარჩენილა, რომელიც დამფრთხალ და ამასთან ძალზე დაშავებულ ცხენებს გაუქანებიათ. ცხენები მალე დაუჭერიათ.

ყუმბარის აფეთქების საშინელ ხმაზე ახლო მყოფი პოლიცია და ხალხი გაქანებულა იმ ადგილისაკენ, სადაც აფეთქება მომხდარა. პირველად მისულა ბოქაული გრაფი ტატიშჩევი. მინისტრის უსიცოცხლო გვამი დაუნახავთ შუა ქუჩაში, სადაც ეტლის ნამტვრევები და ნაფლეთები ეყარა თურმე. მინისტრს ქვედა ყბა მოგლეჯილი აღმოაჩნდა, თავი და ზედა ყბა ძალზე დაჩეჩქვილი, მკერდი ჩალეწილი, ტანისამოსი დაგლეჯილ-დაფლეთილი. ცალკე ეგდო დაფლეთილი და სისხლში მოსვრილი მუნდირი მინისტრისა. გვამის გარშემო ყველგან სისხლი მოსჩანდა თურმე. ეტლის ნაფლეთები 30—50 საჟენზე ყოფილა აქეთ-იქით გაფანტული. იქვე მომკვდარა მეეტლეც. ყუმბარის აფეთქების დროს 18-მდე კაცი დაშავებულა და დაჭრილა, ზოგი მძიმედ, მაგალითად, ლეიბ-გვარდიის სემენოვის პოლკის კაპიტანი სვეცინსკი, რომელიც აფეთქების დროს ეტლით მიდიოდა თურმე. კაპიტანი საავადმყოფოში წაუყვანიათ და ოპერაცია გაუკეთებიათ.

მძიმედ დაშავებული აღმოჩნდა აგრეთვე თვით მკვლელი, 24-25 წლის ყმაწვილი კაცი, რომელსაც რკინის გზის მოსამსახურეთა ქუდი ჰხურებია. ამბობენ, რკინის გზის მოსამსახურე არ იყო და განგებ ეხურა ასეთი ქუდი, რომ სადგურის მახლობლად, სადაც ბევრი მოსამსახურეა რკინის გზისა, ადვილად დამალულიყო. მკვლელი იქვე შეიპყრეს, გაქცევა დაუპირებია, რესტორანში შევარდნილა, მაგრამ მალე დაუჭერიათ. იგი გამომტყდარა. რადგან ძალიანა ყოფილა დაშავებული, ცოტა რამ გამოუკითხავთ და საავადმყოფოში გაუგზავნიათ. დაშავებული აღმოაჩნდა სახე, მუცელი და ფეხები. ჯიბეში მკვლელს უნახეს თურმე გატენილი რევოლვერი.

მოკლულის მინისტრის გვამი ქუჩაში ნახევარ საათს ყოფილა ბრალმდებლისა, გამომძიებლისა და სხვა მოხელეთა გასინჯვის შემდეგ გვამი მინისტრის სადგომში წაუსვენებიათ. ყუმბარა, როგორც „ნოვ. ვრ.“-ა გადმოგვცემს, ძლიერ ამაფეთქებელის ნივთიერებებით ყოფილა შეზავებული და ტყვიებით გატენილი.

მინისტრის მოკვლის ამბავი მსწრაფლ მოედო თურმე მთელ პეტერბურგს. პოლიციისა და სასამართლოს მოხელეთა გარდა, მკვლელობის ადგილას მალე მისულან სასახლის კომენდანტი გენერალ-ადიუტანტი გესსე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, პეტერბურგის გრადონაჩალნიკი და სხვანი.

პრესსა

ამ დღეებში გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება მცირე კრედიტის მოწყობის შესახებ. როგორც იცით, ამ უკიდურეს საჭიროებას ბოლო დროს დიდი ყურადღება მიაქცია მწერლობამ, საზოგადოებამა და მთავრობამაც. ათასგვარი პროექტი შემუშავდა, რომელთა საგანი იყო—რაც შეიძლება უკეთესად მოეწყოს ხალხისთვის ხელმისაწდომი იაფი კრედიტი, რათა ამ გზით წვრილი მემამულე და ხელოსანი განთავისუფლებულ იქმნან ჩარჩებისაგან... ახალ კანონის შესახებ გაზეთი „რუს“-ი სწერს;

> უეჭველია, ახალის კანონით დიდი ნაბიჯი გადადგა წინ მცირე კრედიტის მოწყობის საქმემ. დღემდის სახელმწიფო ბანკს ევალებოდა თავის აგენტების შემწეობით გაევრცელებინა ხალხში კრედიტი, მცირე კრედიტის დაწესებულებათა დაარსება ექადაგებინა და სხვა; მაგრამ სახელმწიფო ბანკი ამას სხვათა შორის აკეთებდა; ბევრ სხვა მოვალეობის ასრულების დროს დიდ დროსა და ყურადღებას ვერ მიაპყრობდა სახალხო კრედიტის გაძლიერების საქმეს. ახალი კანონი ამ მხრით საყურადღებო ცვლილებას ჰქმნის: სახელმწიფო ბანკთან დაარსებულ იქმნა განსაკუთრებული სპეციალური მმართველობა მცირე კრედიტის საქმისთვის. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ ამიერიდან სახელმწიფო ბანკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მცირე კრედიტის გაძლიერებას საქმეს. ეს მთავარი მმართველობა მცირე კრედიტის საქმეს განაგებს ადგილობრივ კომიტეტების შემწეობით. ადგილობრივი კომიტეტები დაარსდება სხვა-და-სხვა რაიონებში. ისინი შესდგებიან ადგილობრივ საადმინისტრაციო დაწესებულებათა უფროსებისა და თავად-აზნაურობის და ერობის წარმომადგენლებისაგან. აღსანიშნავია, რომ ახალი კანონი დიდათ საჭიროდ სთვლის ერობის წარმომადგენელთა მონაწილეობას ადგილობრივ კომიტეტებში: ამათ უკეთ იციან ხალხის საჭიროება და ყველაზე უფრო ახლო სდგანან ხალხთანაო. ამიტომ საერობო გამგეობათ ევალება, სახელმწიფო ბანკის დახმარებით დააარსონ სოფლებში მცირე კრედიტის დაწესებულებანი და უხელმძღვანელონ მათ. კომიტეტების და ერობის გარდა ადგილობრივ იქნებიან კიდევ განსაკუთრებული ინსპექტორები, რომელთა მოვალეობა იქნება: აუხსნან ხალხს ახალი კანონი, ურჩიონ მცირე კრედიტის დაწესებულებათა დაარსების საჭიროება და თვალ-ყური ადევნონ უკვე დაარსებულ დაწესებულებათა წესიერს მოქმედებას. ამასანავე ახალი კანონი უადვილებს ხალხს მცირე კრედიტით სარგებლობის საქმეს: სპობს კანცელიარიზმს —გაჭიანურებულ მიწერ-მოწერას,—ღირობს გადასახადს და სხვა. ერთის სიტყვით, საქმე ახალს ნიადაგზე სდგება და, იმედია, კეთილ ნაყოფსაც გამოიტანს...

* * *

ამავე კანონის შესახებ „ნოვ. ვრ.“ ამბობს:

> მცირე კრედიტის საქმის მოწყობას მოვესწარით! რამდენიმე ათი წელიწადი გადის აგერ, რაც ამ საქმეზე სჯა-ბაასი ჰქონდა მთავრობასაც, ერობასაც და პრესსასაც. აქა-იქ საქმითაც შევუდექით ამგვარ კრედიტის მოწყობას: დაარსებულ იქმნა, განსაკუთრებით 1891 წლის შიმშილობის შემდეგ, საკრედიტო ამხანაგობანი და სასოფლო ბანკები; მაგრამ მათი საქმე როგორღაც ნელა მიდიოდა წინ და არ ვრცელდებოდა. მხოლოდ ეხლა შემუშავდა ცოტად თუ ბევრად შესაფერისი კანონი, რომელიც მცირე კრედიტის საქმეს მკვიდრ ნიადაგზე აყენებს, რადგან კარგად არის შეფარდებული ადგილობრივ მოთხოვნილებასთან და საჭიროებასთან.
>
> ახალ კანონის მიზანია—გაუადვილოს საქმის წარმოება და გაუმჯობესება, აგრეთვე სამუშაო იარაღებისა და საჭირო ინვენტარის შეძენა სოფლის მეურნეთ, გლეხთ, წვრილ მრეწველთ, ხელოსანთ, სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათ და სხვა-და-სხვა არტელებს. ყველა ამ პირთა და დაწესებულებათ მცირე კრედიტი უნდა მიაწოდონ შეღავათიანის პირობებით სოფლად და ქალაქად დასაარსებელმა მცირე კრედიტის ჯასსებმა, რომელნიც გახსნილ იქნებიან სახელმწიფო ბანკისა და საგუბერნიო კომიტეტების დახმარებით...
>
> მაგრამ, რაც უნდა მშვენიერი ორგანიზაცია შემუშავდეს, რაც გინდა სახელით მოინათლოს ახალი დაწესებულებანი, ისინი სარგებლობის მოტანას ვერ შესძლებენ, თუ საკმაო სახსარი არ ექნათ. თავი და თავი დაბრკოლება დღემდის ის იყო სწორედ, რომ სოფლის საკრედიტო დაწესებულებათ ფული აკლდათ; მცირე კრედიტის საქმე იმიტომ არ ძლიერდებოდა, რომ ხაზინა ფულს ნაკლებად აწვდიდა ამგვარ დაწესებულებათ და ამათაც ძალა არ შესწევდათ ხელი გაემართნათ ყველა გაჭირვებულისათვის. ამ გარემოებას კარგ სამსახურს უწევს ახალი კანონი: მცირე კრედიტის დაწესებულებათათვის ძირითად თანხების შესადგენად უნდა გადაიდოს მთელი ის ფული, რომელიც დარჩა განსაკუთრებულ კომიტეტს 1891—1892 წლების შიმშილობის შემდეგ; ეს ფული რამდენსამე მილიონ მანათს შეადგენს. ამას გარდა ამავე საგანს უნდა მოხმარდეს სახელმწიფო ბანკის მიერ სპეციალურად ამ საქმისათვის ყოველწლივ გადადებული თანხა. ძირითად თანხების საქმის ასეთი მოწყობა, უეჭველია, დიდ სამსახურს გაუწევს მცირე კრედიტის საქმეს, თუ, რასაკვირველია, სახელმწიფო ბანკი გამოსძებნის და ყოველწლობით საკმარის სპეციალურ თანხას გადასდებს სახალხო კრედიტის დაწესებულებთა დასახმარებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხაზინას არ გაუჭირდება ასეთ უდიდეს საჭიროებისთვის სახსრის გამოძებნა. უნდა აღვნიშნოთ აქვე, რომ ხსენებულ დაწესებულებათ სახელმწიფო ბანკი, ძირათად თანხების შესადგენად საჭირო ფულს, სესხად მისცემს; მაშასადამე საჭიროა ეს სესხი რაც შეიძლება, შეღავათიანის პირობებით გაიცეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით ის დაწესებულებანი ვერ მოახერხებენ და შეღავათიანის პირობებით ვერ მიაწვდიან ხალხს წვრილ კრედიტს და ამგვარად ახალი კანონი თავის მიზანსაც ვერ მიაღწევს... თუ ჩვენმიერ აღნიშნული პირობანი მხედველობაში იქმნა მიღებული, ყოველს ეჭვს გარეშე, მცირე კრედიტის ახალი ორგანიზაცია საგრძნობელ სარგებლობას მოუტანს ხალხს.

* * *

ერთი მეორის საწინააღმდეგო ხმები მოდის სპარსეთიდან ხოლერის შესახებ: ერთ დღეს დეპეშა იტყობინება, ხოლერა ისპობა და არ ვრცელდებაო, მეორე დღეს, დეპეშითვე იტყობინებიან, ხოლერა თეირანში არ ისპობა და სხვა ქალაქებშიაც ჩნდებაო. რამდენად არეულს ცნობებს გვაწვდიან ამის შესახებ, ცხადათ სჩანს თუნდ ამ გარემოებიდანაც: გუშინ ერთ ადგილობრივ რუსულს გაზეთში დაბეჭდილი იყო სპარსეთის ადგილობრივ კონსულის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

> გაზეთებმა ერთობ გააზვიადეს თეირანში გაჩენილ ხოლერის ამბავი. მართალია, ხოლერა გაჩნდა, მაგრამ უწინდებურად აღარ ხოცავს ხალხს და თან და თან სუსტდება. ერთის თვის განმავლობაში მხოლოდ 300-მდე კაცი მოკვდა. 14 ივლისიდან-კი, თეირანის ექიმების ცნობების თანახმად, თეირანში ყოველ დღე იმდენი ადამიანი კვდება, რამდენიც ჩვეულებრივ კვდებოდა, როცა ხოლერა არ იყო...

ერთ გაზეთში ასეთ სანუგეშო ამბავს რომ ვკითხულობთ, იმავე დღეს მეორე გაზეთში სულ სხვა ცნობას ვპოულობთ: ბაქოში მყოფ ავსტრ-უნგრეთის კონსულს შემდეგი დეპეშა მოსვლია ამ დღეებში თეირანიდან, ავსტრ-რნგრეთის იქაურ კონსულისაგან:

> თეირანში ხოლერა, ასე, 20 ივნისიდან დაიწყო. მას აქეთ ყოველდღე 100-დან 400-მდე კვდება. ამ ჟამად სენი, ცოტა არ იყოს, შესუსტდა, მაგრამ აი 18 ივნის 130 კაცი გამოესალმა წუთისოფელს. მცხოვრებთა ორი მესამედი ქალაქიდან სხვა და სხვა ადგილას გაიხიზნა და ამით სენი მთელს სპარსეთს მოედო. ბოლო დროს, შეჩერებული ვაჭრობა კვლავ იწყება და ხალხი თან-და-თან ბრუნდება თეირანს. ასე რომ, შეიძლება, ხოლერა მართლა სუსტდება, თუმცა ჯერ არა [illegible]...

ყოველ შემთხვევაში სანუგეშო ამბები ჯერ არ არის და დაწყებულ მზადებას არ უნდა ვუკლოთ: „სიფრთხილეს თავი არა სტკივა“...

ჩვენის მხატვრების საყურადღებოდ

„ცნობის ფურცლის“ № 2564-ში დაბეჭდილია ფელეტონი „თანამედროვე ინგლისური მხატვრობა“, რომელშიაც განხილულია ხელოვნების საზოგადოების აკადემიისა და ახალი გალერეის გამოფენა. ამ ფელეტონით ვსარგებლობ, რომ მივაქციო ჩვენი მხატვრების ყურადღება საქართველოს მხატვრობის ნაშთებზე. ამ წერილში აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთ იმ მინანქრიან ნივთებს და მანიატურებს, რომელთაც ყურადღება მიიპყრეს უცხო მეცნიერთა მხრივ.

საქართველოს მხატვრობა აღორძინდა ბიზანტიის და სპარსეთის გავლენის ქვეშე. ბიზანტიას ჰქონდა უმთავრესი გავლენა ჩვენს საეკკლესიო მხატვრობაზე: ფრესკებზე, რომელზედაც დღეს არ გვექნება ბაასი, მინანქრიან ნივთებზე, მანიატურებზე ანუ სამღვთო წერილის, განსაკუთრებით სახარების მოთხრობის დასურათებაზე. ბიზანტიის დროის ნაშთნი შეადგენენ ძვირფასს განძს ჩვენის ხელოვნების ისტორიის შესასწავლად. სპარსეთის გავლენა დაეტყო იმ ეპოქას, რომელიც დაცემის, დარღვევის, დამახინჯების ხანას ეკუთვნის. ეს უკანასკნელი პერიოდი გაგრძელდა მე-XIV—XVIII საუკ. განმავლობაში. ჩვენთვის საინტერესოა ბიზანტიის გავლენის ქვეშე შექმნილი ნაშთნი და აქამდის დროთა გრიგალის გადარჩენილნი ამგვარ ნაშთს შეხვდებით რამდენსამე საგანძურში.

თავდაპირველად მინანქრიანი ნივთებით (იგივე ემალი, ფინიფტი) განთქმულია გელათი, სადაც ისეთი ძვირფასნი ნაშთნი არიან დაცულნი, რომ მხოლოდ ორი-სამი მუზეუმი ევროპაში შეძლებს მათთან ქიშპობას. ერთი ხახულის ღვთის-მშობლის ხატი მინანქრიანი მედალიონებით ქართული ხელოვნებისა, ვერცხლით შეჭედილი, ისეთი სიფაქიზით და სისრულით არის აგებული, რომ თვით ბიზანტიაშიაც არ შეუქმნიათ ამაზე უკეთესი. ტეხნიკა და ორნამენტაცია ამ ხატისა იმ გვარივეა, რომელსაც შეხვდებით სხვა ქართველთ მონასტრებშიაც. რამდენად დაეცა შემდეგ ჩვენში ხელოვნება, ამას მოწმობს გელათშივე დაცული ვედრების ღვთის მშობელი, რომლის ტილანქია სპილენძის მინანქრიანი ფოთლები ეკუთვნის მე-XVI საუკუნეს. ამ ხატს აზის ბეჭედი სპარსული ტეხნიკის გავლენისა. ძვირფასს ნაშთს ხელოვნებისას გელათში ეკუთვნიან ჯვარი წმ. დიმიტრი თესალონიკელისა, მიტრა მარგალიტით და მინანქარიანი მედალიონებით შეკერილი და ბეჭედი დავით აღმაშენებელისა. ძვირფასი მინანქარიანი ჯვრები დაცულნი არიან აგრეთვე მოწამეთაში და ნიკორწმინდაში, წმ. გიორგის ვერცხლის ხატი ხონში, არქიელის ჯვარი მარტვილში, აქვე პანაგია მინანქრიანი მედალიონებით. მარტვილშივე ნახავთ მე-VIII-IX საუკ. ტრიპტიხს წმ. პეტრეს თავით უძველესის ტიპისას და მერვე საუკუნის დეისუსს, ე. ი. იესო ქრისტეს, ღვთისმშობელს და იოანე წინამორბედს ბიზანტიური ემალით შემკობილს. ძვირფასია ხონის ღვთისმშობლის ხატი მეათე საუკუნისა და თამარ დედოფლის ჯვარი. ხონის ხატმა და მარტვილის ჯვარმა თავის ხელოვნებით შეამოწმეს, რომ ემალები (მინანქრიანი ტეხნიკა) იტალიას, მილანის ტრაპეზედ აღმოსავლეთის, უკეთ ვთქვათ, ბიზანტიის გავლენით შექმნილნი არიან. ჩამოთვლილნი მინანქრიანნი ნივთნი წარმოადგენენ განსაცვიფრებელ ნიმუშებს მოზაიკური ხელოვნებისას. აღტაცებაში მოჰყავს კაცი როგორც ტეხნიკას, აგრეთვე ფერადების შერჩევას და სახის გამომეტყველებას.

განსაკუთრებითს ყურადღებას იპყრობს ძველს ხელნაწერებში დაცული მანიატურები. ტფილისის საეკკლესიო მუზეუმში ათამდის საუკეთესო ნაშთია ქართველ-ბიზანტიური მხატვრობისა. ამას დაუმატეთ ნახატებიანი გელათის, ჯრუჭის, მარტვილის, წყაროს თავის, ბერტის სახარებები საუცხოვო მინიატურებით, რომელთაც სახელი გაითქვეს ევროპაში და რუსეთში. ვანის სახარება, რომელიც დაცულია გელათის მონასტერში, წარმოადგენს ძვირფასს ნაშთს ბიზანტიური

ხელოვნებისას და ქართულ სიძველეთა ნიმუშს. სტილი, ტეხნიკა, ფაქტურა ამ სახარების მხატვრობისა ჰმოწმობს, რომ იგი არის ქართული ხელოვნების ნაწარმოები, მისმა დამხატავმა იცოდა ბიზანტიური ხელნაწერები, შეჰქმნა მათ მიხედვით, მაგრამ გადააკეთა თავისებურად მინიატურები, ინიციალები და კანონების ჩარჩო.

გელათის სახარებაში, რომელიც მთელმა ევროპამ გაიცნო, დაცულია 292 სურათი ტექსტის თანაბარად. ამ სახარებას წააგავს ჯრუჭის სახარება (მე-X საუკ.) მხატვრობა და თითქმის აღემატება კიდეც ტეხნიკით და შემოქმედებითი თვისებით. ჯრუჭის სახარება შეიცავს 337 სურათს. მარტვილის (1300 წლისა) სახარება (მოქვისად წოდებული) გელათის და ჯრუჭის სახარებებს არ ჩამოუვარდება სიფაქიზით, მრავალგვარა ფერადობით პირუტყვთა და ყვავილთა, მშვენიერი ინიციალებით. ამაში დაცულია 97 მინიატურა. აღარ ჩამოვთვლით სხვა ხელნაწერ სახარებებს,—დავასახელებთ ჯრუჭის დავითნს, რომელიც შეიცავს 132 სურათს და წმინდათა ცხოვრებას, მინიატურებით შემკობილს.

დასახელებულნი ნაშთნიც საკმარისნი არიან ქართული ხელოვნების შესასწავლად. ამ მინიატურებით უნდა იხელმძღვანელონ იმათ, ვისაც ჰსურს ჩვენი ეკკლესიების დახატვა. წარსული დროის ნაშთნი უნდა გახდნენ ნიადაგად ახალი დროის ხუროთ მოძღვრების, ქანდაკების და მხატვრობის წარსამართავად. სამწუხაროდ, აქამდის ქართველი მხატვრები არ აქცევდნენ ამ განძს სათანადო ყურადღებას. განსვენებული ტ. მომცელიძე შეუდგა საეკკლესიო მუზეუმის ხელნაწერებიდან მინიატურების გადმოღებას. მაგრამ უდროოდ მოსწრებულმა სიკვდილმა საქმე არ დააგვირგვინებინა. ვისურვებთ, რომ ჩვენს მხატვრებს ესარგებლოთ მამაპაპათა დატოვებულის განძით.

ა. ხახანაშვილი

◆

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 ივლისი

ტოკიო. („რეიტ. სააგ.“). მთავრობამ გადასწყვიტა გახსნას ინკოუ უცხოელ გემებისათვის. გემებს თავისუფალი მიმოსვლის ნება დაერთო, მხოლოდ გადაჭრით აღკრძალულია, რუსებისათვის სამხედრო კონდრაბანდის შემოტანა.

პეტერბურგი. მთავრობის განცხადება: „რუსეთ-იაპონიის ომის დაწყებიდან მთავრობამ ზომები მიიღო, რათა დაებრკოლებია სანეიტრალო გემებით იაპონელთა არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო კონდრაბანდის ზიდვა. 14 თებერვალს 1904 წ. უმაღლესად დამტკიცებულ წესებში, რომლებითაც რუსეთი იხელმძღვანელებს იაპონიასთან ომის დროს, გამოცხადებულია იმ ნივთების სია, რომელნიც სამხედრო კონდრაბანდათ ვსცანით, გამოცხადებული იყო აგრეთვე, რომ საზღვაო-სამხედრო მოხელეთ ებრძანათ უეჭველად აესრულებინათ ის დადგენილებანი, რომელნიც ჩამოთვლილია საზღვაო დავლის შესახებ დებულებაში და იმ ინსტრუქციაში, რომელიც შეეხება გემთა გაჩერებას, გაშინჯვას, დაჭერას, წაყვანას და დაჭერილ გემებისა და საქონლის გადაცემას. დობროვოლნი ფლოტის გემებს „პეტერბურგ“-სა და „სომლენსკ“-ს განსაკუთრებული მინდობილება ჰქონდათ, რომლის ვადა უკვე გასული იყო. ისინი დანიშნულ ადგილას მიდიოდნენ, მოხსენებულ დადგენილებებით ხელმძღვანელობდნენ და წითელ ზღვაში მგზავრობის დროს აჩერებდნენ და სინჯავდნენ ყველა საეჭვო გემებს. გემ „პეტერბურ“-ის უფროსმა გააჩერა სხვათა შორის ინგლისის გემი „მალაკკა“, რომლის უფროსმა არ წარმოადგინა ტვირთის შესახებ ქაღალდები, რის გამო გემი დაჭერილ იქმნა და უნდა გაეგზავნათ იმპერატორის ალექსანდრე მესამეს ნავთსადგურში საქმის გამოსარკვევად; ხოლო, რადგან ინგლისის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გემ „მალაკკა“-ზე ინგლისის სახაზინო ტვირთი იყო, რუსეთის მთავრობამ, ინგლისის მთავრობასთან შეთანხმებით, განკარგულება მოახდინა იმის შესახებ, რომ დაჭერილი გემი გულახლად გაესინჯათ უახლოეს ნავთსადგურში, ინგლისის კონსულის თანადასწრებით. გემი ალჟირში გაშინჯეს და ინგლისის საგენერლო კონსულმა ოფიციალურად დაამოწმა, რომ სამხედრო მასალა „მალაკკა“-ზე ინგლისის მთავრობის საკუთრებას შეადგენსო. დანარჩენი ტვირთი სამხედრო კონდრაბანდას არ წარმოადგენს. რუსეთის მთავრობამ სახეში მიიღო ეს დამოწმება და გადასწყვიტა გაენთავისუფლებინა დაჭერილი გემი და ტვირთი. მოხსენებული გადაწყვეტილება არ უნდა იქმნას ისე განმარტებული, თითქო რუსეთის მთავრობას უარ ეყოს თავისი განზრახვა,—როგორც ცალკე კრეისერების, ისე საზოგადოთ ყოველნაირ სამხედრო გემების გზავნა ჩვენ მტრებისთვის სამხედრო კონდრაბანდის ზიდვის მოსასპობად“.

კარლსბადი. ამერიკის ელჩმა რუსეთის მთავრობასთან მაკ-კორმიკმა, რომელიც აქ სამკურნალოდ იყო, შესწყვიტა წამლობა და პეტერბურგს წავიდა.

19 ივლისი

ლონდონი. ოფიციალური. როცა მეფე ედუარდმა მიიღო საზარელი ამბავი მინისტრის პლევეს მოკვლის შესახებ, სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა ხელმწიფე იმპერატორს ცნობილ მინისტრის დაკარგვის გამო. ხელმწიფე იმპერატორმა ფრიად თავაზიანი სიტყვებით უპასუხა.

ბერლინი. „ნორდდოიჩე ალგემაინე ცაიტუნგ“-ი ამბობს, რომ გერმანიის ლიბერალური რადიკალური პრესსა დაწვრილებით მსჯელობს პლევეს მოკვლის გამო: „არა ერთხელ უნდიათ, ამბობს ხსენებული გაზეთი, აღმოეჩინათ ამ საზარელ ბოროტ-მოქმედების შემამსუბუქებელი გარემოებანი. სახეში ჰქონდათ რუსეთის შინაგანი მდგომარეობა და აგრეთვე განსვენებულ მინისტრის მოქმედება. მაგრამ ყველა ამაზე, ჩვენის აზრით, ლაპარაკიც არ შეიძლება“.

მოლდე. გერმანიის იმპერატორი მერგენს წავიდა.

ქრისტიანია. კერძო დეპეშას თანახმად, ტრომზელმა კაპიტანმა იპოვნა ბოთლი, რომელშიაც იდო წერილი ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ გამგზავრებულ ანდრეს ექსპედიციისა. ეს ბოთლი პატარა კუნძულის ახლოს იპოვნეს, შპიცბერგენის ჩრდილოეთით. წერილს 1898 წლის თარიღი აქვს. დაწვრილებით წერილის შინაარსის გამოქვეყნებას ერთი თვის შემდეგ უნდა ველოდეთ.

20 ივლისი

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია, რომ ხერსონის სასწავლებელი ახლო მანძილზე ზღვაოსნობისა უნდა შეცვლილ იქმნას შორ მანძილზე ზღვაოსნობის სასწავლებლად და უნდა დაარსებულ იქმნას შორ მანძილზე ზღვაოსნობის სასწავლებელი ქ. რიგაში.—შინაგან საქმეთა მინისტრის მაგიერ მინისტრის ამხანაგმა დაადგინა ხელ-ახლად ნება დაერთოს გაზ. „ნოვოსტი“-ს ცალკე ნომრების გაყიდვისა.

ბაქო. ადამოვების ქარხანაში ცეცხლი ქრება. ზარალი 300 ათას მანეთამდეა.

ბელგრადი. სერბიის მთავრობამ გამოუცხადა რუსეთის მთავრობას სამძიმარი შინაგან საქმეთა მინისტრის პლევეს მოკვლისა გამო.

სოფია. „სავაჭრო სააგენტოს“ მიერ ბელგრადში გაგზავნილი ცნობა, ვითომ ბოლგარიის მთავრობას უარი გამოეცხადებინოს სერბიის დიპლომატიური აგენტის სიმიხის მიღებაზე, სიმართლეს მოკლებულია. თანხმობა დაუყოვნებლივ გამოაცხადა ბოლგარიის მთავრობამ. სიმიხი ზაფხულის დამლევს მივა თავის თანამდებობის ასასრულებლად. სიმართლეს მოკლებულია აგრეთვე სერბიის გაზეთებში დაბეჭდილი ამბები, თითქო მაკედონიაში სერიოზული უწესოება მომხდარიყოს და საჭირო ყოფილიყოს სხვა-და-სხვა სერიოზულ ზომათა მიღება წესიერების აღსადგენად, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩნდა რამდენიმე უმნიშვნელო ჩხუბი მემამულეთა, მცხოვრებლებმა ბევრი საჩივარი წარუდგინეს სამოქალაქო აგენტებსა და ევროპიელ აფიცრებს და სთხოვენ მიემატოს ევროპიელ აფიცერთა რიცხვს და აგრეთვე იმას, რომ სამოქალაქო აგენტებმა ყოველ კაზაში იყოლიონ თავიანთი წარმომადგენლები.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 16 ივლისი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	94,00	
ბერლინისაზე 100 მარკაში	—	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	$37,37^1/_2$	
ლონდონისაზე ჩეკები	94,80	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,55	
ბირჟის დისკონტი	6-$7^1/_2$%	
4% სახელმწიფო რენტა	$92^8/_8$	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	$88^7/_8$	
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	$390^1/_2$	
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	$300^1/_4$	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	$260^1/_4$	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
$4^1/_2$% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
$4/_2$% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	$88^1/_2$	„
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	$187^1/_2$	„

◆

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. 24 წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს, ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცი, 40) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის). სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

40 ვაკანსიიდან—39 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ შეეხება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქნას საზოგადოების სრულ ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდალურ კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრისა და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მასიარულედ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანების შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათ, დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლების ხელმეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსთვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—31-ში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ლ სექტემბერს სწავლა დაიწყება. დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1904—1905 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს. ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავმდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (15—6—8)



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІЯЛЬН.

Безъ конкуренціи

Продаются всевозможн. сѣдла.

მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო ს. ბრაანის ახლოს. (წ.—176—63)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიოდედათა და თვალით ავადმყოფთათვის, აშიბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ წიგნის მაღაზიებში ახალი წიგნი

მამულიშვილობა და მეცნიერება

ივ. ჯავახიშვილისა.

ფასი 15 კაპ. (10—6.—8)

◆

Доз. цензурою. 20 Іюля 1904 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ბის. Электропеч. Груз. Изд. То—ва.